

ზესტაფონის

მრავალი

გამოცემის
78-ე წელი

8 იანვარი, 2010 წელი ○ მუნიციპალური გაზეთი ○ №1 (7892) ○ ჟასი 30 თეთრი

ჩარიონის აზიზი

მესტაფონის სამოვლადობრივმა მძებრებმა ჩარიონის აზიზის იუბილე დღის პომპეზურად აღნიშნა. სასპორტო სკოლის დარბაზში ამ მოვლენის უპიცნგრი იყო. დამსახურებული მწვრთნელი ჯონდო ჩარიონი 75-ის, მისი ძმა რემო კი 80 წლის გახდა. ორივე მათგანს, როგორც შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება აქვთ ქართული სპორტისა და კულტურის სამსახურში. სწორედ ამ მიღწევების გათვალისწინებით ორივე მძებრს მესტაფონის საკრებულოს სპეციალური განკარგულების საფუძველზე საპატიო მესტაფონელის ტიტული მიენიჭა.

ჯონდო ჩარიონი №3 საპატიო მესტაფონელია, რემო კი №4. მანამდე ამ წოდების მატარებლები დამთავრებული ქალაქის კირიათ-ზიალიის მერი და შოთა წვენიანი იყვნენ.

„ჯორჯიან მანგანუმში“ მოქმედმა სამთო მეტალის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ თანამშრომელთა ნაწილს სოლიდური საახალწლო ნობათები დაურიგა. 10-მა ოჯახმა რომელთაც ეკონომიკურად სხვეზე მეტად უჭირთ, სურსათის სხვადასხვა სახეობებთან ერთად ფულადი საჩუქარი 100 ლარი მიიღო ამასთან ნობათები მიიღო ქარხნის ყველა თანამშრომელმა ღვინისა და ტკბილეულის სახით.

სოციალური მომსახურების სააგენტო პენსიონერებს უკვე კეთილმოწყობილ გარემოში ემსახურება. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ სამსახურმა სხვაგვარი დიზაინით მოწყობილი ოთახები ჩაიბარა.

პენსიონერთა კომფორტულ მომსახურებისათვის ყველა ღვაწლია გათვალისწინებული. მათ განკარგულებაშია, როგორც მისაღები, ასევე სხვადასხვა დანიშნულების ოთახებიც.

სოციალური მომსახურების სააგენტო მანამდე ყოფილი მერიის შენობაში აგრძელებდა საქმიანობას

პატივით მოწოდებას ხეების დარგვის თხოვნით პროკურატურისა და არასაპატიო სასჯელთაღსრულების და პრობაციის ეროვნული სამსახურიც გამოხმაურდა. აქცია მათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაგეგმეს.

წიწვოვანი ჯიშის ხეები აქციის ფარგლებში 9 აპრილის სახელობის სკვერში დაიარა.

ქართული მღაპრების ცნობილ პერსონაჟებთან ერთად თეატრალურმა პაგარებმა

საახალწლო პრემიერაზე „საახალწლო მღაპრები“ დაპატივეს. მისი გმირები ბაშვებმა განსხვავებულ ამბულაში ნახეს. განსაკუთრებით ისინი დევით მოიხიბლნენ, რომელიც საოცრად გაკეთილშობილებურიყო სადღესასწაულოდ.

სპექტაკლის დასასრულს, ნაძვის ხის პირვანდელი სახის დასაბრუნებლად, რომელიც ბოროტმა ჯალოქარმა განაახლა, პაგარებსაც მოუხდათ მღაპრში ჩართვა. ისინი მღაპრის პერსონაჟებთან ერთად კეთილ ფერიას ნაძვის ხის დაბრუნებაში ესმარდობდნენ და ეს მათ ნამდვილად გამოუვიდათ.

საახალწლო საჩუქარი პაგარებს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონულმა ორგანიზაციამ ბაშვითა ცენტრ „ორიონისა“ და წმ. ბარბარეს ობოლ და მშრუნველობამოკლებულ პანსიონატის აღსაზრდელებს ტკბილეული მიართვა.

აქცია ახალი წლის დღეებსა და მოახლოებულ შობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო.

გელე-კომპანია „არგო“ ინტელექტუალური კონკურსის „შესანიშნავი შედეგის“ ახალ სემონს ხსნის. თამაში გუნდური პირველობის პრინციპით უკვე მესამე წელია გარდებსა მესტაფონისა და მისი შემოღობილი რაიონების საჯარო სკოლებს შორის და მის რეგიონებში ყოველწლიურად მასში მონაწილე გუნდების სიმრავლე მეტყველებს. თამაშის I ტური უკვე შედგა. მასში მონაწილეობას სხვადასხვა სკოლის 15 გუნდი იღებდა, 9 მათგანმა მომდევნო ტურში მონაწილეობის საგზურის მოპოვება დირსეული დაპირისპირების შედეგად შეძლო.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა და ვი აბესაძის ხსოვნის პატივსაცემად ასაგები მემორიალის პროექტის საბოლოო ვარიანტი რამდენიმე დღეში გამოვლინდება.

კონკურსი უკვე შედგა, თუმცა კომისიას, რომელიც კომპეტენტური წევრებით არის დაკომპლექტებული, საუკეთესოს გამოვლენა გაუჭირდა, კონკურსზე სულ 5 პროექტი იყო წარმოდგენილი.

ქორის გადარწმუნებით კონკურსში უფრო ფართო სპექტრის ჩასართავად, მისი დრო გახანგრძლივდა. კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი პროექტის ვარიანტის საფასური არ უნდა აღემატებოდეს 25 ათას ლარს. შემორჩა-ლის დადგმის გადაწყვეტილება, საკრებულომ მიიღო და ის აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე პაგარა სკვერში განთავსდება.

სხადეა კონკურსი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. №11) აცხადებს კონკურსს ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ შემდეგ ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე:

1. ეპიდემიოლოგი (პირველადი, მათ შორის ცოფზე ეპიდკვლევების წარმოება)
 2. ეპიდემიოლოგი (პირველადი, მათ შორის ცოფზე ეპიდკვლევების წარმოება)
 3. ეპიდემიოლოგი-იმუნიზაციის საკითხებში
 4. ექიმი-პროფილაქტიკოსი (სანიტარული ღონისძიებების განხორციელება)
 5. ეპიდემიოლოგი-პარაზიტოლოგი
 6. ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი
 7. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკაზე („ცივი ჯაჭვზე“) პასუხისმგებელი პირი
 8. პარაზიტოლოგი-ლაბორანტი
 9. ინსტრუქტორ-ბიოფიზიკატორი
 10. ენტომოლოგი
 11. ბუღალტერი (მხოლოდ გასაუბრება).
- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე წაყენებულ მოთხოვნებს.
- კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად, წერილობით (ტესტირებით) და გასაუბრებით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე.
2. ავტობიოგრაფია.
3. განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (სერტიფიკატი) ნოტარიულად დამოწმებული ასლები.
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

მოსტაფონის და ახალი წლის მსახიობის მოსახლეობა

* შობა-ახალ წლის დღესასწაულთა შესახებ განმარტავთ, რომ: შობა უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია და სულიერი ღირებულების მქონე, მეორე კი საერთო დღესასწაულია და, შესაბამისად, ყოფით სფეროს განეკუთვნება. სწორედ ამ ნიშნითაა მათ შორის არსებითი სხვაობა.

* ახალ წელს გრადიციულად ნაძვის ხის ან ჩიჩილაკის მორთვითა და სუფრით მზარულად ეგებებიან. მისგან განსხვავებით, მაცხოვრის შობის დღესასწაულს მარხვით, ლოცვით, აღსარებით, შიარებით, წმიდა წერილის კითხვითა და ღვთის სათნო საქმეთა აღსრულებით ხვდებიან.

* აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი წლის თარიღი ერთობ ცვალებადი სიდიდეა. ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოკვლევით:

ა) წმიდა ნინოს დროს ქართლში ახალი წელი 6 აგვისტოს იწყებოდა;

ბ) VII საუკუნის დამდეგიდან, რომელიც თეველის შემოსვლასთან დაკავშირებით, თანდათან პრაქტიკიდან გადის რა აგვისტოს წელიწადი; მის ადგილს სექტემბრის წელიწადი იკავებს;

გ) IX საუკუნის 20-იან წლებში ფეხს იკიდებს მარტის წელიწადი, რომელიც X საუკუნის II ნახევრამდე არსებობდა;

დ) X საუკუნის II ნახევრიდან მარტის წელიწადს იანვრის წელიწადი ცვლის, რომელიც დღემდე დამკვიდრებულია.

* დიდი მეცნიერის მემოთ მოყვანილი მონაცემები ნათლად ცხადყოფს ახალი წლის მიწიერ, ამქვეყნიურ სამრისს. ამისგან განსხვავებით, მაცხოვრის შობის დღესასწაულის თარიღი, ძვ. სტილით 25 დეკემბერი, თქვენსმეტი საუკუნეა უცვლელია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი განსხვავებულ ღირებულებებზეა ორიენტირებული, თუმცა ქრისტიანულ სამყაროში ამ მხრივ კარგა

ხანია ერთსულოვნება არ არის და ეკლესიების ნაწილი მას ახალი სტილით 25 დეკემბერს შეიმოსს.

* ახალი სტილი შემოღებულ იქნა 1582 წელს პაპ გრიგოლ XIII-ის დროს და ამი-გომ პაპ გრიგოლ XIII-ის კოლეგიის მიერ შემოთავაზებულ დროის ათვლის სისგემას გრიგოლის კალენდარს უწოდებენ.

* ძველი სტილი, ანუ იულიუსის კალენდარი 325 წელს მიიღო ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და ჩვენი ეკლესია მას დღემდე იცავს.

* გრიგოლის კალენდარით (რომელსაც ახალი სტილი ეყრდნობა), ერთი წელიწადი მოიცავს 365 დღე-ღამეს, 5 სთ-ს, 49 წთ-სა და 12 წმ-ს. იულიუსის კალენდრით (რომელსაც ეყრდნობა ძველი სტილი), ერთი წელიწადი მოიცავს 365 დღე ღამეს და 6 სთ-ს. მათ შორის სხვაობა შეადგენს 11 წთ-სა და 48 წმ-ს. ეს ცდომილება ყოველ 128 წელში

5. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის, აგრეთვე დაგვიანების შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის პროცედურაზე არ დაიშვება.

კონკურსში მონაწილეებისათვის საუბები მიიღება 2010 წლის 8 იანვრიდან 2010 წლის 15 იანვრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე შაბათსა და კვირას სამდივნო იმუშავებს 11 საათიდან 14 საათამდე. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის II სართულზე საკონკურსო კომისიის სამდივნოში (საკონტაქტო პირი თამარ აბულაძე-ტ: 895338722, 8(292)40665).

კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო ტესტები საკონკურსო ფურცელთან ერთად გადაეცემათ 2010 წლის 18 იანვარს 11 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის II სართულზე საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

ტესტირება ჩატარდება 2010 წლის 6 თებერვალს 11 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

ტესტირების შედეგები კონკურსის მონაწილეებს ეცნობებათ 7 თებერვალს 2010 წლის 11 საათზე.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებიც საკონკურსო ბილეთში არსებული ტესტების არანაკლებ 75%-ს (50 ტესტიდან 38 ტესტს) გასცემენ სწორ პასუხს.

გასაუბრება ჩატარდება 12 თებერვალს, 11 საათზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ.№11 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მე-2 სართული. საკონკურსო კომისიის სამდივნო (საკონტაქტო პირი თამარ აბულაძე 895338722)

საშობაო ეპისტოლე უშიშროებას და უნებარეს სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

ქრისტეს მიერ საყვარელო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარო, მოძღვარო, დიაკონო, ბერ-მონაზონო, ყოველნი მკვიდრნი საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებნი ჩვენი სულიერი შვილებო! „ნუ გემინინ, რამეთუ მე მიძღვევის სოფელსა“ (ინ. 16.33). „სოფელი ცდილობდა დავეყო, მაგრამ ვერ დამიჭირა“ (გრიგოლ სკავაროდა) გიხაროდეთ, „ღამე იგი განგვემოდა და დღე შემოგვეახლა“ (რომ 13.12); აღსრულდა უდიდესი საიდუმლო ქრისტეს განკაცებისა; ზეიმობს და და ქვეყანა და წმიდა ეკლესია სიხარულით დაადგეს: „დღეს ქრისტე იშვილეს ბეთლემ ქალაქისაგან უბრისა, დღეს დაუსაბამო დაიბადებინა, სიტყვაი ხორცით შეისხამს და ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით; ამ გამოუთქმელ სიხარულს ვეხარებთ ჩვენც, ყველა და წმიდა ეკლესიასთან ერთად ვუგალობთ უფალს: „ქრისტეს შობას ვადიდებთ და აღვაძალდებთ ღმერთსა დიდებულსა.

რატომ განკაცდა უფალი? და რატომ არის დედა მიწაზე მის მოვლინებასთან დაკავშირებით ასეთი დიდი სიხარული? დაუსაბამო იგი ხორციელ იქნა, რათა ცოდვის მორევში დათქმული კაცობრიობისათვის სხნის გზა ეჩვენებინა და ყოფიერების ჭაობში შთაფლულათვის სიკეთისა და ბოროტების გარეგანად ესწრაფებინა; იგი განკაცდა, რომ გვეხუთა საკუთარი თავზე გამარჯვება და კვლავ მარადიული ნეტარებისა და სიციხის შესაძლებლობა მოგვცოდეს.

საერთოდ, ადამიანი ნეტარებისათვის არის ღვთისგან შექმნილი. ამიტომაც ბედნიერებისა და სიამოვნებისაკენ ღვთისგან მისი ბუნებრივი თვისება და სურვილია; ბედნიერება და სიამოვნება კი, სიყვარულს უკავშირდება.

ნებისმიერ პიროვნებას ყველაზე მეტად უყვარს ის, რაც ყველაზე მეტად სურს და ყველაზე მეტად სურს ის, რაც მას ყველაზე მეტ სიამოვნებას, სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს.

ვიდრე ადამი და ვნა მოთხოვნი მყოფობდნენ მათი ნეტარება ღმერთთან კავშირიდან მომდინარეობდა. ღმერთთან უშუალო კავშირი იყო მათი უმთავრესი მოთხოვნილება და ბედნიერების წყარო.

ცოდვით დაღმირს შემდგომი კი შეიცვალა მათი ბუნება, აღქმისა და აზროვნების წესი, რადგან უფლის სიყვარულით სავსე მათი გონება, გული და ნება შეიბღურა ბოროტი ძალის დაჯერებით და მისი ნების აღსრულებით.

ამიტომ დაკარგეს ადამმა და ევამ საშობაო და ღმერთი, როგორც ნეტარების უშრეტო წყარო და მიწიერი ყოფით მიიღეს ის, რაც მათს დაცემულ სულიერ მდგომარეობას შეეფერებოდა. ცოდვით დაღმირს შემდგომ ადამიანებში გაჩნდა ბედნიერებისა და სიამოვნების მიღების სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება. რაც დღითა განმავლობაში იცვლებოდა და თუმცა უმთავრესი ყოველთვის მაინც იყო სიმდიდრის დაგროვების სურვილი, პატივმოყვარეობა, სიამეთმოყვარეობა, თანამედრობისკენ სწრაფვა, აზარტული თამაშობა, მრუშობა, სასმელით ან ნარკოტიკით გატაცება და ა.შ. ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არათუ მარადიული ნეტარებას ანიჭებს ადამიანს, არამედ ამტკენდავდ, წუთიერი სიამოვნებების ნაცვლად, ხელულისა და სულის უშიშროებს დაავადებებს იწვევს. ბრძენს უთქვამს - მსგავსი მსგავსს შეჰხარისო. და მართლაც, ამტკენიურ ცხოვრებაშივე ყოველი ადამიანი თავისი ნებით ირრევს გზას და ისწრაფვის ცათა სასუფევლის ან ბოროტების მყუდობისაკენ.

როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი წერს „კაცი შორის ორთა საქმეთა არს: ცოდვისა და სათნოებისა“. იგი ან კრპათმსახურა ან ღვთისმსახური, ან სიძვისმოქმედა ან სიწმინდის მატარებელი, სიმართლეს ესწრაფვის ან უსამართლობას, არის ამპარტვანი ან თავმდაბალი. ერთ-ერთის საბოლოო გამარჯვება შორის უცილობელ მოსაძიებას ნიშნავს, რადგან „ღმრთისმსახურებისა დამტკიცება სიკუდილი არს კრპათმსახურებისა, ვგრთვეთ სიმართლისა მიერ მოიკვლის უსამართლობა“... და ა.შ.

ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, ამქვეყნადვე იპოვოს ღმერთი და მისდოს მის გზას. ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ უფლის ნებას (რაც მის მცნებებშია განცხადებული) ჩვენი პიროვნული ნებაც შეუერთდება; ანუ, თუ ვიგობებრთ სხარებისეულად, დღვატბრივი და ადამიანური ნების თანხედრას სიწმინდა ეწოდება; სწორედ იგია ზეცად აღმგვანებელი უდიდესი ძალა, რომელიც ყველა დაბრკოლებას დაგვალღვივნებს და ამტკენდავდ ვგვარძობიონებს, რომ „სასუფეველი ჩვენმა“.

„სიბოვით და მოგვეცე თქვენ“, ეძიებდით და ჰპოვით, ირკვედით და განგელს თქვენ“, - ბრძანებს მაცხოვარი.

მაგრამ ხშირად ადამიანები, რომლებიც თავს მორწმუნეებად მიიჩნევენ, ვერ აღწევენ იმას, რასაც ლოცვაში ითხოვენ. რატომ ხდება ეს?!

იკაბო მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „სიბოვით და არ გემღვავთ, რადგან ბოროტად ითხოვთ, რათა თქვენს ვნებები დაიკმაყოფილოთ (იკ.4.2). ითვ, ადამიანების ნაწილს მიანი, რომ სწამთ ღმერთი, და ამავე დროს ერთმანეთს ეჯობებიან მიწიერი კეთილდღეობის მოსაძიებლად, ან შურთ, ცილს სწამებენ და განიკითხავენ სხვას, რაც მათს ლოცვას ძალას უკარგავს.

ზოგჯერ, ესა თუ ის პიროვნება, ერთი შეხედვით, მარტვარ კარგ საქმეს აღსრულებს: შემოსავლის ნაწილს გასცემს, გაქირებულს ეხმარება, ტამარსაც ამუშებს... მაგრამ თუ ყოველივე ამას თავის გამოსაჩენად აკეთებს და სიკეთით ამპარტვანობს, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება უფლისათვის და არც ასეთი ადამიანის ლოცვა შეიმინება. ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ღმერთი ამქვეყნიურ კეთილდღეობის სრული უარყოფისკენ მოგვიწოდებდეს ყველად, რა თქმა უნდა – არა, რადგან უფალი ჩვენგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ არ გავხდეთ ბოროტად მოთხოვნილებათა მოძებნი და მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობა არ იქცეს ჩვენს მამოძრავებელ ძალად; მაგრამ თუ თანამედრობისა, ძალაუფლებას, სიმდიდრეს და ჩვენს სხვა შესაძლებლობებს არა საკუთარი „მეს“ წინმოსაჩენად, არამედ უფლის სადიდებლად (რადგან ყოველივე მისგან ვეცდები) და მოვალის მსახურებისათვის გამოვიყენებთ, ღვთისსაწინა ვიგობებრთ. წმიდა წერილი გვასწავლის: სიყვარული სივლისა

ამის, მეტრობა არს ღმრთისა (იკ. 44). „ვერვის ხელ-ენივების ორთა უფალთა მონებად... ვერ ხელ-ენივების ღმრთისა მონებად და მამონასა“ (ით. 6.24).

მაშ, „დაემორჩილებით ღმერთსა და წინა აღუდები თქმისასა“, მიეახლებით მას და მოგვასიბით თქვენ (იკ. 4.7).

მეტად საწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცოდვითი მიდრეკილებები სულ უფრო და უფრო ღრმად იდგამს ვესეს ჩვენს ყოფაში. ცოცხა, როგორც ხორცეტი, ადამიანს და ვნას დაეცემიდან მოყოლებული მუდამ არსებობდა, მაგრამ ადამიანს ჰქონდა სინანულიც. სულშემოქმედი დავით წინასწარმეტყველი ასე წარმოაჩენს ამ მდგომარეობას: „ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის.

დღეს კი ცოდვა ცოდვად აღარ მიიჩნევა და იგი ღამის ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება წარმოვიდგინოთ. ამ აზრს, რომლის დამკვიდრებასაც უცხოეთში უკვე კარგა ხანია ცდილობენ, ჩვენთანაც ეძლევა გასაქანი. ცოცხა ხნის წინ უცხოური სერიალებით დაიწყეს ხალხის ცნობიერების გადაგვარება, ახლა კი ჩვენი მოქალაქეები გამოჰყავთ უზნებობის დემონსტრირებისათვის. ცოდვის საკუთარ თავში მიღებისა და შეთვისებით ადამიანს სრული გამოფიტვა ემუქრება. ამაზე კი პასუხს აცხებს ყველა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ამისკენ უშიშროებენ ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს; მაცხოვარი ბრძანებს: „კვი მი თის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდლორ...“ (ით. 18.7) ... მისთვის აკოვრებდა წისქვილის ქვა დავიკადთ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეჭირათ“ (ით. 18.6) ასევე საშინელი სხვა მომაკვდინებელი ცოდვებით დაძმობული ადამიანების ხედრები.

შეუღლებელი და შეუთავსებელი იყო ქრისტიანი და ამავე დროს – ნარკომატი, ქრისტიანი და – ლოთი, ქრისტიანი და – მრუში, ქრისტიანი და – ქურდი... ამგვარ საქმეთა მოქმედნი თავს ნუ მოიიყვებენ და ნუ ინუგუმებენ, ისინი ცათა სასუფეველს ვერ ადამკვიდრებენ.

ადამიანი თავისი დაცემული ბუნებით ცოდვისკენა მიდრეკილი და მუძობდა ის, ნებით თუ უნებლიედ, სხვადასხვა ცოდვაში ჩავარდეს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მონანიებისა და გამოსწორების სურვილი, რწმენა უფლისა და ღმერთი აუცილებლად დაეხმარება და მიანიჭებს მაცხოვრებელ ძალას.

ეპისტოლეში ასევე მინდა, შევეხო ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალურ და მტკიცებულ ზოგიერთ სხვა საკითხსაც და, პირველ რიგში, ყურადღებას განვახვიოთ თანამედროვე ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მხარეზე. განათლების რეფორმის დაშვებულმა შედეგებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მონარდები ცოდვის შეტების სურვილს უკვე ნაკლებად ამყვანებენ. სამეცნიერო მოღვაწეობა კი არაპრესტიჟულად მიჩნიათ, რადგან ხედავენ რომ ინტელექტუალის სათანადო დაფასება არა აქვს (ისინი ხომ საშუალო ფენის დიონეზეც კი ვერ ინახავენ ოჯახს).

ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომაგალი, რადგან ერის სულიერებისა და განათლებისა ერთ_ერთ უშიშრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ.

ჩვენ თავს ვხრთ და დიდად ვაფასებთ იმ თავმდადებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოიჩინეს ჩვენმა მეცნიერებმა და ათესტური ყოფის მიუხედავად, შეძლეს ხალხისათვის სწორი ორიენტირების შენარჩუნება. გავისხენით ექვთიმო თაყისიძელი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროვა, დიმიტრი უზნაძე, თეოდოსიო, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, მაქსიმე შარაძე, ფილიპონ ქორიძე და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ შევიწროვებულნი, დამცირებულნი და ყოველდღე ელოდნენ დაპატიმრებას... მათ არა მარტო დაიცვეს, არამედ გამაღვივნეს ჩვენი სრული ფასეულობანი, დაიცვეს როგორც თავისი, ისე ქვეყნის ღირსება.

ჩვენ უნდა გვექონდეს ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ანალიტიკური აზროვნების უნარი, რომ გავარჩიოთ, რა არის მისაღები და რა უარსყოფი, გავიაზროთ, როგორ დავებდეთ ესა თუ ის პრობლემას, რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადრე დამუშავებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ და შევძლოთ მომავლის სწორი პროგნოზირება. ჩემი დიდი ხნის იტყვება, სკოლაში იყოს ანალიტიკური აზროვნების კურსი, რათა მოზარდი თათმა ადრეული ასაკიდანვე მიეჩვიოს განსჯისა და სწორი ნაბიჯების გადადგამას.

ფიქრობ, აუცილებელია ისეთი საგნის შემოღებაც, რომელსაც, ძირითადად, აღზრდელიობით დანიშნულდება ექნება. ეს საგანი ისევე უნდა ისწავლებოდეს როგორც სხვა საგნები, მაგ: ისტორია, ფიზიკა, ლიტერატურა, მათემატიკა. რათა მომავალი თათმა მოვაზადდეთ ცხოვრებისათვის.

იგი უნდა მოიცავდეს ურთიერთობის კულტურას ოჯახში და ნათესავებთან, ურთიერთობას მეგობრებთან და თანატოლებთან, უფროსს და უმცროსს თათობასთან, აქ უნდა ისწავლებოდეს საზოგადოებრივი თავმყერის ადგილებსა და სუფრასთან ქვევის წესებს, რთული სიტუაციების დაძლევის გზები და, რა თქმა უნდა, ცოდნისა და შრომის სიყვარული.

შრომის გარეშე ცოდნას ვერ შევიძენთ და ვერც მოვიხმობთ; შრომის გარეშე ვერ შევქმნით ვერც სახელმწიფოს. ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური შრომა. თუმცა ზოგიერთს მაინც, რომ ფიზიკური შრომა ამცირებს პიროვნებას. ეს არასწორი შეხედულებაა. იგი ღვთისაგან ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის დადგენილი ცხოვრების წესია.

გარდაამავალმა პერიოდმა, რომელიც თითქმის 20 წელია გრძელდება, მრავალი პრობლემის წინაშე დაგვყენა. განსაკუთრებით ის, რომ ჩვენს წარსულსა და დღევანდელსა შორის ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, თითქმის ძირითადი ქართული მიწები ჩვენი მეზობელი ერების ისტორიული სამკვიდრებელი იყო; და ამით მულღი და დაპირისპირება ითესება დიდი ხნის მანძილზე მშვიდობითა და ურთიერთგაგებობით მცხოვრებ ჩვენს ხალხებს შორის. მაგალითად, ისები კომპაქტურად არიან დასახლებულნი საქართველოს

სხვა და სხვა კუთხეებშიც, და ეს ტერიტორია ისეთივე საქართველოა, როგორც ცხინვალის რეგიონი. ე.წ. სამხრეთ ოსეთი და სხვა ავტონომიებიც კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ხელოვნური წარმონაქნია.

მიუხედავად მომხდარისა, მეჯრა, ქართველები, აფხაზები, ოსები და სხვანი, მკვიდრნი საქართველოსა, იყვნენ და კვლავაც დარჩებიან მშებად და დადგება ის კურთხეული დღე, როცა ჩვენ ურთიერთს შევუნდობთ მშათაკლის ცოდვებს და ერთად ავაგებთ შერიგების ძეგლს, რომელიც იქნება გაფრთხილება მომავალი თათბებისათვის, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

ქართველი ადამიანი ბუნებით მოსიყვარულე და შემწყნარებელია. ტოლერანტობა ჩვენ წიგნებიდან არ გვისწავლია, ეს ჩვენი თვისებაა. ამის ნათელი გამოხატულება ის, რომ საუკუნეთა მანძილზე ამ მიწაზე უპრობლემოდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვა და სხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც მეგობრობითა და მოყვრობით არიან ქართველ ხალხთან დაკავშირებულინი. ჩვენი ხასიათის ნათელი გამოხატულება ვაჟკაცობითა და მებრძოლი სულით დათქმული მხარისა, საქართველოს მთიანეთის დიდებული შვილის, ვაჟ-ფშაველას საცარიე სიტყვებია:

„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა, ცხრაწლივდ მამყოფე ისევე, ოღონდ ამშობდეს მგელომა“; დიას, შინაგანად ასეთია ქართველი კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ოდესღაც შეგულება სამშობლის ერთიანობის ხელყოფას. სამშობლო დედამიწის ის ადგილია, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს, ამა თუ იმ ერს ღვთის განგებულებით ეძობა.

სამშობლო, რა თქმა უნდა, არის გარკვეულ საზღვრებს შორის არსებული ტერიტორია, ის ბუნება, ის წიაღისეული, ის ფლორა და ფაუნა, რასაც ეს ტერიტორია მოიცავს, მაგრამ სამშობლო არის კიდევ უფრო სხვა... სამშობლო შენი წინაპრების ძეგლები გათხიერებული მიწა, შენი ერთი გაჯერებული ჰაერია, შენი გენით, შენი ხასიათით დატვირთული გარემოა. აქ, ამ სივრცეში მოიგობს მთელი ისტორია ერისა და ქვეყნისა, და ეს ყოველივე თითოეულ ჩვენგანთან უხილავი, მაგრამ ძალიან ძლიერი ველით არის დაკავშირებული.

ამიტომაც, სამშობლოს არა აქვს ოდენ მიწიერი, მატერიალური სხე. მის განსაკუთრებულობას დიდად განაპირობებს ისიც, თუ რამდენად მრავალრიცხოვანია წმინდანთა დასი ჰყავს ერს სულიერ მეთხად ღვთის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ვერავინ შეედრება. სამშობლოსათვის გულანთებული გმირები საქართველოს არასოდეს დაეუფლა.

ჩვენს ერს ქართული ერის სახით უდიდესი საუწყე აქვს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს; ჩვენს ენაში განცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მოვლადგმა და აზროვნების წესი. ენა არ არის მარტო კომუნიკაციის საშუალება. დაკვირვებით, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: წუთისოფელი, სამშობლო, დედამიწა, გარდაცვალება, თავისუფლება, განათლება და სხვა ... თითოეული მათგანი როგორც ფილოსოფიური სიღრმითაა დატვირთული! ქართული ერის სისავსეს, მის დილაქტობა და კილო-კავთა მრავალფეროვნება, ქართველი კაცის განდების სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიბველის და საუკუნეთა მანძილზე განცდილი ცვლილებების მიუხედავად, არ განწყვეტილა კავშირი ძველ და თანამედროვე ქართულ ენას შორის, რაც მის დიდ სიკვდილსაწინააღმდეგო მეტყველებს.

პოი ჩვენო ენა, ჩვენი მწუხარებისა და სიხარულის მესაღვლევე, ცისარტყლისათვის მშვიდობისმომგებ, მცირერივით სპეტაკო და თერგივით მშფთვერე, ჩვენი ხელთუქმნელო სვეტო, ცამდე ამაღლებული, საუკუნეთა ქარტახილი გაბოვლოლო ღერწმობა, სამირველო და მტკივე ფუძე ჩვენი, ჩვენი საუნჯეთა შემქმნელო და დამცველო, მთების ძლიერება, მეფე და დარაჯო ჩვენი ერის რწმენისა, ერთობისა და მითლიანობისა.

არავითხელ მოუნდომებია ავისმდომელს შენი შენახვა, შენი მოსაძიება. დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშე უშიშრელობისაგან ამოცანა ტერიტორიული მითლიანობის აღდგენისა, თანდათან ოხრდებდა მეთრე, არანაკლები საფრთხე ენობრივი დამოსი; არიან ისეთი ძალები, რომელნიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უშიშროებენ, რომ ითარგმნოს ზილია ან სხვა წიგნები მეგობრად, სვანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლი მომავალში ქართული ერის ეს განმტკობანი უკვე ცალკე ენებად გამოვაცხადონ. მსოფლიოში ვრცელდება რუქები და კვალიფიკაციები, თითქმის საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანება, თითქმის ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაკებს. ამით უნდა იჩვენოთ ერის სხვა და სხვა ეროვნულ გაერთიანებებად წარმოიქმნა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლაშიერ ერთი ნაბიჯია.

კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე, - ინფორმაციულ ომზე გადავიდა და იგი ძირითადად, მასმედიის საშუალებით ხორციელდება. აშკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა და სხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული ომი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებითვე უნდა გავცეს პასუხი.

ჩვენი საზოგადოება ეკლესიისგან მრავალწლიანი გაუცხოების შემდეგ კვლავ უზრუნველდება რწმენას და ეს ბუნებრივი, თანდათანობითი პროცესია. მართალია, აღდგა გარეგნული სახე ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა; ამენად მრავალი ტამარი, ეკლესიები გაიგოს ხალხით, გამარჯვდა სასულიერო პირთა რიცხვი, ჩვეულებად იქცა საეკლესიო წესებისა და საიდუმლოების აღსრულება (ნათობა, წესის აგება, ჯვრისწერა, სახლის კურთხევა...), მაგრამ დღეს უკვე აუცილებელია ჩვენი საზოგადოების უფრო სიღრმისეული სულიერ განვითარებაზე ზრუნვა. ჩვენ გამოვედით ევგოპიტდან - ცოდვის მონობიდან, მაგრამ ალთქმულ მიწაზე, სულიერ იერუსალიმში ჯერ არ შევსულვართ. უდაბნოს გზაზე ჩვენი მსვლელობისას ზოგჯერ თავს იჩენს ცოდვითი ცდომილებანი. ამის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ჯვარდაწერილ

წყვილთა ხშირი განქორწინება, ნარკომანია და აბორტი. არ შემიძლია არ შევეხო ახალგაზრდებში გავრცელებულ ერთ მეტად მძიმე სენსაც - ბილწსიტყვაობას; რატომაც ასეთი მეტყველება მათში კარგ ტონად და ვაჟკაცობად ითვლება. სინამდვილეში კი, ეს არის დაბალი კულტურისა და აზროვნების ადამიანების მიზანგანი სამყაროს გამოვლინება. ყმაწვილები ხშირად საკუთარ დედასაც შეურაცხყოფენ და ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რას ამბობენ. ეს არის უკიდურესი სიბილწე და უდიდესი ცოდვა, რითაც ადამიანი ემშაკის თანაზიარი ხდება. საერთოდ, ყოველი სიტყვისათვის ადამიანი პასუხს აცხებს ღვთის წინაშე. განსაკუთრებით კი სასტიკად დაისჯებიან მშობლების მაგიერ ბეღინი. ეს დასაშაული იმდენად მძიმეა, რომ ძველ ალთქმადი დედ-მამის მხოლოდ ავადმასხსენებლნიც კი ქვით იქოლეზოდნენ.

მე ვთხოვ ჩვენს ახალგაზრდებს, საერთოდ უარი თქვან ბილწსიტყვაობაზე და განსაკუთრებით კი, დედასთან მიმართებაში. ერთად შევთხოვით ღმერთს, მოგვანიჭოს მადლი „უღლურთა მჭურნალი და ნაკულუევენთა აღმასხმელი, რათა, ღვთის შეწყვენი, შეგძლით ცოდვათაგან გათავისუფლება“. მეუფეო ზეცათაო, ნუგვინისმგებელი, სულო ქემშარტევისსაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ავავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელი ცხოვრებისაო, მოვედ და დამკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მკვენ ჩვენ ყოვლისაგან მიწისა და აცხოვენენ სახიერო სულნი ჩვენნი. ამ ბრწყინვალე დღეს ყველა ჩვენგანის წინაშე დგას კითხვა: იშვება თუ არა ბეთლემს შობილი მაცხოვარი ჩვენს გულშივე? უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი დაიბადა არა დიდებულ სასახლესა და სამეფო პალატებში, არამედ ყველასგან მიტოვებულ უბრალო ზაგამი და ამით მაგალითი უჩვენა და თავმდაბლობისკენ მოუწიდა მთელ კაცობრიობას. ხდება უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ „ამპარტვანთა შექურავეს ღმერთი, ხოლო თავმდაბალით მოსცემს მადლს“. რატომ არის ასე?!

იმიტომ, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ძალით, სიკეთის გაკეთება არ ძალუძს და ამის ნიჭი მას მხოლოდ უფლისაგან ეძლევა. ვინც ასე არ ფიქრობს და წარმტკენებს მხოლოდ საკუთარ თავს მიანიწერს, ამპარტვანების მორევში იძირება. ღმერთი მას ტოვებს და ის უფლებები და შესაძლებლობები, რომელიც ღვთისაგან ჰქონდა ზომებრედი, ერთმევი; ამის ნათელი მაგალითია მეფე საული, რომელიც თავიდან თვით უფლისაგან იყო გამოირეული, მაგრამ საკუთარი ნებით ამპარტვანების ცოდვა დაეუფლა, და ზოლოს, მეფობაც დაკარგა და, მასთან ერთად, ყველაფერიც. საულის მსგავსად, დავით წინასწარმეტყველიც ისრავლის მეფედ იყო დადგენილი, მაგრამ თავისი თავმდაბლობით იგი თათბებისათვის სინანულის მაგალითად დარჩა. ხალხისათვის ყოველთვის ის წინამძღოლია პატივსაცემი და საყვარელი, რომელიც ღირსეულია და თავმდაბალი.

საქართველოს ისტორიაში ამის არავითარ მაგალითი ვერაქვს. ვავისენით წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, თავმდაბლობის ნიშნუმა მისი „გალობანი სინანულისანი. წმიდა თამარი - თავისი ხელსაქმით გულახკათივის საზრდელის მიმეფით და დაუცხრომელი ლოცვით სამშობლოს დამცველი შემოქმედებისათვის შეწე. ბერად შედგარი ჩვენი დიდებული მეფეები - დემეტრე I, დავით X, თეიმურაზ I... თავმდაბლობით და თავისი უბრალო ცხოვრებით გამორჩეული იყო მეფე ერეკლე II. როდესაც ძალაუფლების და დიდების მწვერვალზე მყოფი ხელისუფალი თავმდაბლობის ასეთ უჩვეულო მაგალითს ვავივნებენ, რამდენად უფრო მეტად გვმართებს ეს ჩვენ?! როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, ძველ ალთქმადი ყველაზე მშვიდი და თავმდაბალი მოსე წინასწარმეტყველი იყო, რომელსაც სწორედ ამ თვისების გამო მიეცა შესაძლებლობა, ჰქონოდა ღმერთთან უშუალო ურთიერთობა; ახალ ალთქმადი და, საერთოდ, ყველაზე თავმდაბალი ადამიანთა შორის ღვთისმშობელია. იგი სიწმინდისა და ამ განსაკუთრებული მადლის გამო შეიქმნა ღირსი გამხდარიყო დედა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სამყაროს შემოქმედი - ღმერთი ეტვირთა და წიად თვისი ცათა უვრცელეს ყყო. თითოეული ჩვენგანის და ასაერთოდ, ჩვენი ერის უმთავრესი პირობება ის არის, რომ გვაკლია თავმდაბლობა და გვგონია, რომ ჩვენი ძალებით, ჩვენი ჰკუთია და უნარით შევძლებთ წარმატებების მიღწევას, რაც მადლის მოპოვებაში ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა. ღმერთის გარეშე თვით ანგელოზებსაც არ ძალუძს არაბა, მითუმეტეს ჩვენ. ამ დიდებულ დღეს მუხლმოდრეკით, უშირჩილად შევთხოვ ყოველსავე დასაქვას, მოვგანიჭოს თავმდაბლობა და თითოეული ჩვენგანის გული ჰყოს ბეთლემის ზაგად, რომელიც იშვება ღმერთ-კაცი იგი - იესო ქრისტე. დიდება შენდა, უფლაო, მაცხოვარი ჩვენი, რომელი განცდას ჩვენითა ცოდვათას მოგვანიჭებ და დაცემულთა ავგადღებებ! დიდება შენდა, უფლაო, რომელი აღგვაყვებ ჩვენ მადლითა შენითა და გვაზიარებ საუკუნო ნეტარებას შენსა!

დიდება და მადლობა შენდა, უფლაო, რომელი აღგვაყვებ სიხარულითა, სიყვარულითა და იმედითა შენითა! გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შენიერთა შრომანო, რომლისაგან

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 17 დეკემბრის №24 განკარგულების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი (დანართი 1 თან ერთვის).

2. დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (დანართი 2 თან ერთვის).

3. დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის სამდივნო (დანართი 3 თან ერთვის).

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე**

დანართი №1

ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ეს წესი შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ მოხელეთა (კანდიდატთა) კონკურსის ჩატარების და საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესს.

2. ეს წესი ვრცელდება ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ მოსამსახურეებზე.

მუხლი 2. კონკურსისა და ატესტაციის პრინციპები

ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის პრინციპებია:

- ა) ობიექტურობა;
- ბ) გამჭვირვალობა;
- გ) არადისკრიმინაციულობა;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბანკარგულება №26

ძ. ზესტაფონი 29 დეკემბერი 2009 წელი

ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის შემადგენლობის და საკონკურსო საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

- დ) საჯაროობა;
- ე) კოლეგიურობა;
- ვ) კორექტულობა.

თავი II საკონკურსო კომისია

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსს ატარებს საკონკურსო საატესტაციო კომისია (შემდგომში – „კომისია“).

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

3. კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

4. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 7 წევრით.

5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

6. კონკურსის ჩატარებისათვის კომისიის თავმჯდომარე ქმნის კომისიის სამდივნოს, რომელიც განისაზღვრება სამი წევრით და უზრუნველყოფს კანდიდატებისათვის წაყენებული მოთხოვნების სიზუსტეს.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაუთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

თავი III კონკურსი

მუხლი 5. კონკურსის მიზნები და ამოცანები

1. კონკურსის მიზნებია:

ა) ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა;

2. კონკურსის ამოცანებია:

ა) კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება;

ბ) კანდიდატის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

მუხლი 6. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აცხადებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. კონკურსი ცხადდება შესაბამის ბეჭდვით ორგანოში, კანდიდატებს ეძლევათ არანაკლებ ერთკვირიანი ვადა განცხადების შესატანად შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.

3. შეტყობინება კონკურსის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობების დასახელებას და რაოდენობას;

ბ) კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები;

გ) აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი და წარდგენის ვადა;

დ) კომისიის მისამართი.

მუხლი 7. მოთხოვნები, რომლებიც წაყენდება კანდიდატს

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 8. კონკურსისათვის წარსადგენი საბუთები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება დაწესებულების კომისიის სახელზე;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (სერთიფიკატი) ასლები (ნოტარიულად დამოწმებული);

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სხვა დოკუმენტები (კომისიის გადაწყვეტილებით).

მუხლი 9. კონკურსის პირობები

1. კონკურსი შეიძლება ჩატარდეს გასაუბრების ან/და ტესტირების ფორმით.

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის, აგრეთვე დავიანების შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის პროცედურაზე არ დაიშვება.

3. კონკურსში მონაწილემ მეორე ტურის გასაველად (გასაუბრება) სწორი პასუხი უნდა გასცეს საკონკურსო ბილეთში არსებული ტესტების არანაკლებ 75%-ს (50 ტესტიდან 38-ს).

4. კონკურსი შეიძლება ჩატარდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 3 კვირისა და არაუმეტეს 1 თვისა.

5. ტესტების საერთო რაოდენობა განისაზღვროს 500-დან 1000-მდე.

მუხლი 10. ტესტირება

1. ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით. ტესტირების თემატიკას და პროგრამას კონკურსში მონაწილეთათვის დასაკავებელი თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია.

2. ტესტირების პროგრამას ამტკიცებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიის თავმჯდომარისა და გამგებლის წარდგინებით.

მუხლი 11. გასაუბრება

კანდიდატის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება შესაძლებელია ზეპირი გასაუბრების გზით.

მუხლი 12. კომისიის მიერ კანდიდატურების განხილვა

კომისია ტესტირების და გასაუბრების შედეგებს განიხილავს კანდიდატების დაუსწრებლად.

მუხლი 13. კონკურსის შედეგები

(გაგრძელება გვ. 4)

აქ ახალი სიცოცხლე იბადება

მესტაფონის სამშობიარო სახლი... თითოეულ მესტაფონელს ამ შენობასთან საოცარი განცდა აკავშირებს. თავისებურ გვიფილთან და ამავდროულად დიდ სიხარულთან, ღელვასა და საოცარ ბედნიერებასთან წილანაყარი. აქ, ამ კედლებში ახალი სიცოცხლე იბადება, შესაბამისად ყველა საუკეთესო მოგონებას აქედან იღებს სათავეს. დედობისა და მამობის უდიდესი სიხარული, ბაბუებისა და ბებუების საოცარი განცდა...

სამშობიარო სახლის კოლექტივი დიდ და მნიშვნელოვან საქმეს შეჰქონდა კარგად ართმევს თავს საპასუხისმგებლო მისიას. იცვლებიან თაობები, მაგრამ აქ უცვლელია საქმისადმი დამოკიდებულება. მაღალი პროფესიონალიზმი, ადამიანებისა და საქმის სიყვარული და თავდადება. აქ ახალი სიცოცხლე იბადება. შესაბამისად ბოლომდე ვასიგრძელებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ახალი სიცოცხლის დაბადებას ახლავს. ექიმთა ძველი თაობა, სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის ქალბატონ ციალა აბაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ექვს ათეულ წელზე მეტია აქ მოღვაწეობს, მდიდარ გამოცდილებას უშუქვლად გადასცემს ახალგაზრდა კოლეგებს, რომლებიც კიდევ უფრო სრულყოფენ და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ამდიდრებენ მას. სწორედ ასეთი

ურთიერთთანამშრომლობის შედეგია ის, რომ, სამშობიარო სახლის კოლექტივი ახერხებს ერთ-ერთი გამორჩეული იყოს რეგიონში. მეანგენოკოლოგთა ახალმა თაობამ სამშობიარო სახლის სამედიცინო განყოფილების გამგის კოგე ბოტორიშვილის თაოსნობით მშობიარობის თანამედროვე ტექნოლოგიები ერთ-ერთმა პირველებმა დაწერეს.

მიუხედავად არსებული რთული სოცი-

ალური ფონისა უკანასკნელ წლებში აქ შობადობის მაჩვენებელი გაიზარდა. გასულ წელს წინა წელთან შედარებით 60-ე მეტი ახალშობილი დაიბადა. წინასახალწლო დღეებში, 2010 წლის ფებრუალური მკვლევ 62 ახალშობილი შემოგვემატა. გასულ წელს სულ 900-მდე პაგარა მესტაფონელი დაიბადა.

ბოლო პერიოდში სამშობიარო სახლში გადაიჭრა წყლის პრობლემა. მუშაობს



ცენტრალური გათბობა, მოწესრიგდა მელოცინეთა კვება. სამედიცინო განყოფილებას ჩაუტარდა რემონტი. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები გინეკოლოგიურ განყოფილებაში.

სამშობიარო სახლის შრომითი ისტორიას ქმნიდნენ და ქმნიან მეანგენოკოლოგთა ძველი თაობის წარმომადგენლები: იზა ჩიქობავა, ნათელა ქიაიავა, ბავშვთა განყოფილების გამგე მანანა ლაბაძე, ანესთეზიოლოგი თამაზ ლეკავა, ქალთა კონსულტაციიდან ჟიული ფერაძე, ნუნუ გამცემლიძე, დალი ბუაძე, ლაბორატორიიდან ლიანა ხიდაშელი, მზია კიკვაძე, თამუნა თოფურიძე და სხვები. მათ კვალს მიჰყვებიან პედიატრები: ქეთინო მუშლაძე, ნატო ბუბაშვილი, ციცინო ბუაძე, ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტები თამაზ აბესაძე, ვასო დამნიანი. დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში მათ მხარში უდგანან გამოცდილი საშუალო სამედიცინო პერსონალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მესტაფონელები მათ კარგად იცნობენ, უყვართ, სჯერათ და ეიმედებათ ისინი. ეს სამშობიარო სახლის მთელი კოლექტივის გამარჯვებაა...

ფებრუალური ყოფილიყოს მათთვის 2010 წელი. ემრავლეთ ახალშობილებს ჩვენი ქვეყნის სიძლიერისათვის. გამოთიანებულ საქართველოში ცხოვრება დაგვებედბოდეს!..

ლალი მუშლაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო განაცხადების №26

(გაგრძელება)

1. კომისია კონკურსის შედეგებს განიხილავს სხდომაზე კანდიდატების დაუსწრებლად.
2. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
3. კომისიის მიერ კენჭისყრისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად.
4. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს წარდგენას.
5. კომისიის თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას.
6. თუ კომისიამ უარი განაცხადა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე ან ამ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად.
7. კომისია კონკურსის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში საკრებულოში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული კონკურსის შესახებ: ვაკანტური თანამდებობების დასახელების, შემოსული განცხადებების რაოდენობის, კონკურსის ეტაპების, გამოყენებული მეთოდებისა და პროცედურების, კონკურსის შედეგებისა და სხვა მონაცემთა მითითებით.

საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
8. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის/ატესტაციის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შემოტანილი განცხადება განიხილება არაუმეტეს 3 დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მიხედვით წარედგინება კომისიას.
9. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში სხდომაზე მოიწვიოს საპრეტენზიო კომისიის წევრები.
10. კონკურსის პროცესთან ან შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება საკრებულოს კანონმდებლობის შესაბამისად.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე
დანართი №2
ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის შემადგენლობა
1. გიორგი ჩუბინიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ გველეხიანი - ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი (კომისიის წევრი);
3. ბესიკ ლიბრაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (კომისიის წევრი);
4. თამაზ ბეჟუაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (კომისიის წევრი);
5. გოგი თაბაგარი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
6. მოწვეული სპეციალისტი;
7. მოწვეული სპეციალისტი.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე
დანართი №3
ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ზესტაფონის მუნიციპალურ ცენტრში“ კონკურსის ჩასატარებლად საკონკურსო კომისიის სამდივნოს შემადგენლობა
1. თამარ აბულაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (კომისიის წევრი);
2. ანასტასია ტყემალაძე - კომისიის წევრი;
3. ნანია შვილიძე - კომისიის წევრი.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე

თავი IV. დავის განხილვა და გადაწყვეტა

მუხლი 14. საპრეტენზიო კომისია და დავის გადაწყვეტა
1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, გამგებლის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.
2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს გამგებელი
3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.
4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.
5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.



რაიონსა და ქართულ საჭადრაკო სამყაროს დააკლდა შესანიშნავი პიროვნება, ახალგაზრდა ოსტატების აღმზრდელი ჯემალ მახათაძე.
იგი წლების განმავლობაში ინჟინერის საპატიო პროფესიით მუშაობდა რაიონის სხვადასხვა წამყვან საწარ-

ჯემალ მახათაძე

მოებში მათ შორის ქარხანა „საქკაბელში“ რომლის პარალელურად მისი ნიჭიერება თანდათან ბრწყინდებოდა საჭადრაკო კომპოზიციებში. მისი შექმნილი ამოცანები მსოფლიო ელიტარულ საჭადრაკო კომპოზიციებშია შეტანილი.
ჯემალ მახათაძე მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე და გამარჯვებული გახლდათ, მაგრამ მისი საქმიანობის ყველაზე საყვარელი სფერო ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიება და აღზრდა იყო. საჭადრაკო სკოლაში რომელსაც იგი უძღვებოდა თვით ყველაზე გაუსაძლისი წლებში, როცა ადამიანებს გადარჩენის ინსტიქტი ამოძრავებდათ იგი ახერხებდა ცივსა და გაუნათებელ სკოლა-

ში ემუშავა ალსაზრდელბთან, ჩატარებინა ტურნირები, გვერდით დადგომოდა ვისაც ჭადრაკის ხელოვნებასთან ზიარება სურდა.
დღესაც ძალზედ ძვირფასია ჩვენთვის იმ პერიოდში მის მიერ ტურნირის მონაწილეთათვის დარიგებული ჯილდოები თუმცა მატერიალურად შეიძლება ღირებული არ იყო, მაგრამ მას განსაკუთრებული მადლი ახლდა თან.
წავიდა ჩვენგან კარგი კაცი, თაობათა აღმზრდელი, ნათელი ბატონი ჯემალ თქვენ სულს.

რაიონის საზოგადოებრივი, საჭადრაკო სკოლის აღმზრდელი

კიული ძაგოიძე

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, კარგი ოჯახის მამა და ბაბუა. კეთილშობილი კაცი, კარგი სამეურნეო და პარტიული მუშაკი. იგი დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ თანამოსაქმეებს, მეგობრებსა და ახლობლებს, რომელთა გულში მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლეს.
წლების მანძილზე ბატონი გიული საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, ბოლოს

კი ახალგაზრდობის აღმზრდის სამსახურში ჩადგა. იგი სათავეში ჩაუდგა მესტაფონში დაფუძნებულ ბიზნესის ინსტიტუტს, რომელიც შემდგომ ბიზნესის კოლეჯად გადაკეთდა. მისი ორგანიზებით ეს სასწავლო დაწესებულება მძლავრ სასწავლო ობიექტად ჩამოყალიბდა.
ნათელი დადგომოდეს ბატონი გიულის სულს.



მეგობრები

უზანგი თუთხარიძის გამოსათხოვარი



სოფელი ერქვა ძველ საქართველოში ქვეყანას. მერე დაკვირვებულმა ქართველმა წუთისოფელიც შეთხზა, ღრმად დარწმუნებულმა, რომ ადამიანური უძლებობა მწარედ უარყოფს სიკვდილს, რომელიც ამარცხებს ჩვენს დაუოკებელ ღვთაებას მარადყოფნისაკენ. გვეცოცხავება ჩვენი ამო ყოფნის ხანგრძლივობა ამ სოფელში, ვუფრთხით იმიერსოფელს და ვოცნებობთ მესთასოფელზე, მაგრამ ბატონი უზანგი თუთხარიძე ის კაცი იყო, რომელიც ოცნებობდა იმქვეყნად გადაბარებებზე, რადგან იქ თავისი უდროოდ გარდაცვლილი შვილი ეგულებოდა. მისკენ მიუხაროდა, მასზე ფიქრში გაჰყავდა უსახური დღეები... მანამდე კი საოცრად მჩქეფარე ცხოვრების გზა განვლო ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა. ბატონი უზანგი ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რეაფის ფაკულტეტის სტუდენტი. მისი მასწავლებლები იყვნენ აკა-

დემიკოსები: ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიორგი გვგამანი, ბ-ნი უზანგი არ კმაყოფილდებოდა თავისი ფაკულტეტის ლექციებით, ის ისმენდა ივანე ბერიკაშვილის, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და სხვათა საჯარო ლექციებს. მონღოებამ და განსაკუთრებულმა ნიჭმა შედეგი გამოიღო, ბატონი უზანგი თუთხარიძე იყო თავისი საქმის პროფესიონალი. გასათოცარი გახლდათ მისი შეუწელებელი ღვთაება სიბრძნისა და მეცნიერების მიღწევებისადმი, საზოგადოებრივი პროცესებისადმი. განსაკუთრებულმა განათლებამ და წიგნიერებამ მალე გამოიღო შედეგი: უზანგი თუთხარიძე გახდა ჟურნალისტთა კავშირის წევრი, მისი პუბლიკაციები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გამეფებში. განუყოფელი იყო პედაგოგიური ღვაწლიც. მისი გაკვეთილი გახლდათ 45-წუთიანი მოგზაურობა მეცნიერების სამყაროში. სულგანაბრებულნი ვუსმენდით მის გაკვეთილებს, შეგონებებს, პედაგოგის ცოდნით აღფრთოვანებულნი, მოხიბლულნი ველოდებოდით მორიგ შეხვედრას საყვარელ მასწავლებელთან.

ვით დაეცევენებინა აუდიტორია, მკითხველი. პენსიაში გასვლის შემდეგ სწორად მინახავს, როგორ იჯდა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, როგორი რეალუნიებით კითხულობდა, ვინ იცის, მერამდენედ, საყვარელი მეცნიერების ნაშრომებს. დღეს კიდევ ერთი დიდი მესტაფონელი მიიბარა მიწაში! იმიერს გაუყვა ბატონი უზანგის სული, მონაგრებული ცოლ-შვილის შესახვედრად. მიწას რა ენაღვლება! ჩვენ ვიკითხოთ, ასეთი ღირებული ადამიანებით რომ გავვიღარებოდა ქალაქი! თუმცა, ბატონი უზანგი სულ ეძებდა თავის მოსწავლეებში მომავალ მუსხელიშვილებს, ჯავახიშვილებს, მელიქიშვილებსა და მანძიებს, ოღონდ ნაპერწკალს თუ შეგამჩნევდა საძირებლედ ჩაგვევლიოდა, გზაზე დაგაყენებდა, მეცნიერებისკენ გიბძებდა. მისი იმედი ისევ ჩვენს ახალგაზრდებშია. ღმერთმა ქნას, სამშობლოს სახელი გაუთქვან, ჩვენს რაიონს დიდება შემაგონ მისმა აღმზრდელმა, მისი სულის სადიდებელიც ეს იქნება, ნათელიც ამგვარად მოუფრქვევა იმიერში!

ნანა ჩიტორაძე
მესტაფონის მუნიციპალიტეტის მე-7 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მთავარი რედაქტორის მთავარი ლარი ბინაძე
რედაქტორები: ზურაბ ლომთაძე, ლარი ბინაძე, ტარიელ სალაძე, ლალი მუშალიძე, მარინა ჯუღელი
გაზეთი ააწყო და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შ.პ.ს. „სტალინი“ -ის სტამბაში
მის: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 33
ტელ: 2-37-11